

შპს მეგლიანი (ს/ნ 405338763)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

მეგლიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2019 წლის 05 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, პაოლო იაშვილის ქუჩა №6. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანიას მეკავშირე საწარმოები არ გააჩნია.

ამონაგების აღიარება

საქონლის მიწოდებიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველზე გადაცემულია საქონელი და მასზე საკუთრების უფლება. მომსახურების მიწოდებიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დასრულებულია მყიდველისთვის მომსახურების გაწევა. ამ დროს კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც მისი სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. გამონაკლისს წარმოადგენს არაპირდაპირი დამფუძნებელი ფიზიკური პირისაგან მიღებული უპროცენტო სესხი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები:

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

10-30 პროცენტი

თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და საკრედიტო ბარათებით. ზოგიერთ შემთხვევაში (მათ შორის ე.წ. „მიტანის სერვისით“ მომსახურების დროს) ხდება კლიენტებზე საქონლის მიწოდება გადავადებული გადახდის პირობით. ამ დროს დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

2019 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით კომპანიას გაუჩნდა იურიდიული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო გადასახადი დაგროვებითი

პენსიის სქემაში ჩართული თანამშრომლების სასარგებლოდ. ეს გადასახადი შეადგენს დარიცხული ხელფასის 2%-ს, რაც კომპანიისათვის დამატებითი ხარჯია, რომელიც აისახება სხვა (ადმინისტრაციულ) ხარჯებში.

შპს მეგლიანი (ს/ნ 405338763)

საქმიანობის შედეგები

მოგება - ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ნეტო ამონაგები			
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	3	1,580,921	1,331,439
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	3	8,982	1,194
თვითღირებულება		(728,296)	(653,161)
საერთო მოგება		861,607	679,472
სხვა შემოსავლები	4	3,406	1,007
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(164,303)	(177,931)
ცვეთა და ამორტიზაცია		(218,612)	(206,263)
იჯარის ხარჯი	6	(3,772)	(305)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(272,527)	(287,711)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	8	(61,993)	586,722
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		143,806	594,990
ფინანსური შემოსავალი	9	-	-
ფინანსური ხარჯი	9	(143,470)	(111,976)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(143,470)	(111,976)
მოგება დაბეგვრამდე		336	483,015
მოგების გადასახადი	10	-	-
წმინდა მოგება		336	483,015
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		336	483,015
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
		1,290,729	867,714
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	11	(145,318)	(60,000)
კაპიტალის გაზრდა	11	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,145,746	1,290,729

შპს მეველიანი (ს/ნ 405338763)

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12	18,962	10,364	187,037
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13	14,405	10,023	6,219
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14	0	0	0
მარაგები	15	30,839	28,804	31,933
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0	0	0
		64,206	49,192	225,188
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	16	3,240,773	3,415,804	3,580,667
საინვესტიციო ქონება		0	0	0
არამატერიალური აქტივი	17	1,627	1,898	2,169
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0	0
		3,242,400	3,417,703	3,582,836
მთლიანი აქტივები		3,306,606	3,466,894	3,808,024
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	159,914	117,938	118,429
საგადასახადო ვალდებულებები	19	29,945	43,237	21,889
გადასახდელი პროცენტი		0	0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		189,858	161,175	140,318
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	20	1,971,001	2,014,991	2,799,992
ანარიცხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
		1,971,001	2,014,991	2,799,992
მთლიანი ვალდებულებები		2,160,860	2,176,166	2,940,310
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	21	1,484,581	1,629,899	1,689,899
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-338,835	-339,170	-822,185
გადაფასების რეზერვი		0	0	0
		1,145,746	1,290,729	867,714
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,306,606	3,466,894	3,808,024
შემოწმება				
		-	-	-

შენიშვნა: 3

ამონაგები

	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	1,580,921	1,331,439
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	8,982	1,194
სულ	1,589,903	1,332,633

შენიშვნა: 4

სხვა შემოსავალი

	2023	2022
ძირითადი საშუალების გაყიდვის შედეგი	0	0
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	3,406	1,007
სულ	3,406	1,007

შენიშვნა: 5

დასაქმებულთა ანაზღაურება

	2023	2022
ხელფასები	(164,303)	(177,931)
სულ	(164,303)	(177,931)

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემული ანაზღაურება.

შენიშვნა: 6

საოპერაციო იჯარა

	2023	2022
იჯარის ხარჯი	(3,772)	(305)
სულ	(3,772)	(305)

კომპანიას საოპერაციო იჯარით აღებული აქვს ყავის მოსადუღებელი აპარატი, რომელსაც იყენებს ეკონომიკურ საქმიანობაში. ასევე ქალაქის მერიისგან იჯარითაა აღებული გარე ფართი. საიჯარო ქირის ხარჯად აღიარება ხდება წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში.

შენიშვნა: 7

სხვა ხარჯები

	2023	2022
დაზღვევა (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(3,062)	(3,062)
კომუნალური ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(101,663)	(101,663)
ბანკის მომსახურების ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(28,057)	(28,057)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(139,746)	(154,930)
სულ	(272,527)	(287,711)

ეს მუხლები აღიარებულია ხარჯად მოგებადღე დაბეგვრის განსაზღვრის მიზნებისათვის

შენიშვნა: 8**სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა**

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(61,993)	586,722
სულ	(61,993)	586,722

აღნიშნული განპირობებულია სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი მუხლების გადაფასების და კონვერტაციის შედეგად წარმოშობილ სხვაობებით გამოწვეულ მოგება/ზარალთან.

შენიშვნა: 9**ფინანსური შემოსავალი და ხარჯი**

	2023	2022
ფინანსური შემოსავალი	0	0
ფინანსური ხარჯი	(143,470)	(111,976)
სულ	(143,470)	(111,976)

ფინანსური ხარჯი განპირობებულია საბანკო სესხზე დარიცხული (გადახდილი) პროცენტის ხარჯით.

შენიშვნა: 10**მოგების გადასახადის ხარჯი**

	2023	2022
მოგების გადასახადი	0	0
სულ	0	0

შენიშვნა: 11**დივიდენდები**

	2023	2022
გაცემული დივიდენდი	(145,318)	(60,000)
კაპიტალის გაზრდა	0	0
სულ	(145,318)	(60,000)

აღნიშნული თანხა წარმოადგენს მესაკუთრეებზე განხორციელებულ განაცემს, რომელიც დაკავშირებულია საწესდებო კაპიტალის შემცირებასთან და მოგების განაწილებასთან. დადებითი მნიშვნელობა წარმოადგენს მესაკუთრეთა მიერ განხორციელებულ შენატანს საწესდებო კაპიტალში.

შენიშვნა: 12**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	6,115	6,459
ფული საბანკო ანგარიშებზე	12,848	3,906
სულ	18,962	10,364

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

შენიშვნა: 13**სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

	2023	2022
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	11,147	6,765
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	3,258	3,258
სულ	14,405	10,023

შენიშვნა: 14

წინასწარ გადახდილი გადასახადები

	2023	2022
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა და მომსახურება	0	0
წინასწარ გადახდილი ღირებულება	0	0
სულ	0	0

შენიშვნა: 15

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
გასაყიდი საქონელი	30,839	28,804
სხვა სასაქონლო მარაგები	0	0
სულ	30,839	28,804

შენიშვნა: 16

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2022		3,387,143	207,026	35,134	256,644	3,885,946
შემოსვლა		-	4,516	-	39,514	44,030
გადაფასება						-
გასვლა		-	-	-	(720)	(720)
31 დეკემბერი 2023	-	3,387,143	211,542	35,134	295,437	3,929,256
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2022	-	(314,657)	(49,480)	(11,390)	(94,614)	(470,142)
პერიოდის ცვეთა	-	(140,035)	(23,210)	(5,401)	(49,694)	(218,341)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(454,693)	(72,691)	(16,791)	(144,308)	(688,483)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	-	3,072,485	157,545	23,744	162,030	3,415,804
31 დეკემბერი 2023	-	2,932,450	138,851	18,343	151,129	3,240,773

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. ცვეთის ღირებულების მეთოდი: წრფივი.

შენიშვნა: 17

არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა
31 დეკემბერი 2022	2,712
შემოსვლა	-
გადაფასება	
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	2,712
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	(814)
პერიოდის ცვეთა	(271)
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	(1,085)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	1,898
31 დეკემბერი 2023	1,627

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული საბუღალტრო/სავაჭრო პროგრამა, რომლის შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი.

შენიშვნა: 18

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	128,371	90,609
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	27,835	23,561
მიღებული ავანსები	3,707	3,767
სულ	159,914	117,938

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილს წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

შენიშვნა: 19

საგადასახადო ვალდებულებები

	2023	2022
საბიუჯეტო გადასახადი	29,945	43,237
სულ	29,945	43,237

საბიუჯეტო გადასახადი მოიცავს ერთიან საბაზინო კოდზე გადახდილ ყველა გადასახადს.

შენიშვნა: 20

სესხები

	2023	2022
ბანკის სესხი	1,971,001	2,014,991
სხვა სესხი	0	0
სულ	1,971,001	2,014,991

სესხი წარმოადგენს ბანკის სესხს (665000 EUR), რომელიც აღებული იყო 31/10/2023-ში წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.00%. ამ სესხით გადაიფარა წინა სესხის დარჩენილი ნაწილი.

შენიშვნა: 21

საწესდებო კაპიტალი

2023 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1484581 ლარს.

შენიშვნა: 22

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 23

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს მმართველ რგოლსა და უმაღლესი რანგის მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს **83291** ლარს.

შენიშვნა: 24

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 მარტს.

უფლებამოსილი პირი:

დირექტორი

/ არკადი გარსევანიშვილი /

შენიშვნა: 20

სესხები

	2023	2022
ბანკის სესხი	1,971,001	2,014,991
სხვა სესხი	0	0
სულ	1,971,001	2,014,991

სესხი წარმოადგენს ბანკის სესხს (665000 EUR), რომელიც აღებული იყო 31/10/2023-ში წლიური საპროცენტო განაკვეთით 8.00%. ამ სესხით გადაიფარა წინა სესხის დარჩენილი ნაწილი.

შენიშვნა: 21

საწესდებო კაპიტალი

2023 წლის ბოლოს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1484581 ლარს.

შენიშვნა: 22

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 23

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს მმართველ რგოლსა და უმაღლესი რანგის მენეჯმენტზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს 83291 ლარს.

შენიშვნა: 24

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 მარტს.

უფლებამოსილი პირი:

დირექტორი



/ არკადი გარსევანიშვილი /